



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020138718519820

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 477/ს

06 / მაისი / 2020 წ.

შპს „კასარა“-ზე (ს/კ 241497769) გაცემული წიალით სარგებლობის N0651 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 6 თებერვლის N148/ს ბრძანების საფუძველზე, დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება „შპს „კასარა“-ზე (ს/კ241497769) გაცემული წიალით სარგებლობის (0651) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად დაედო სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2020 წლის 28 იანვრის N181 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია შპს „კასარას“ მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე და დაყენებულ იქნა ლიცენზიის გაუქმების შუამდგომლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარის, შპს „კასარას“ მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ბრძანების გამოცემისთანავე სააგენტოს 2020 წლის 7 თებერვლის N22/874 კორესპონდენციით მოხდა მხარის ინფორმირება და გაეგზავნა სააგენტოს უფროსის 2020 წლის 6 თებერვლის N148/ს ბრძანება. მხარეს მიეცა წინადადება, წარმოედგინა საკუთარი წერილობითი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, დასახელებული კორესპონდენციით მხარეს ეცნობა 2020 წლის 5 მარტს სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვის თაობაზე.

2020 წლის 21 თებერვალს სააგენტოში შემოსულ იქნა N1551 კორესპონდენცია, რომლითაც შპს „კასარამ“ წარმოადგინა წერილობითი მოსაზრება ლიცენზიის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით.

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარება ვერ მოხერხდა წარმოებისთვის განსაზღვრულ ორთვიან ვადაში, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაზრდა და ამ მიზნით ცვლილების შეტანა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ბრძანებაში. სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 მარტის N673 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 3 აპრილის N397/ს ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება „ შპს „კასარა“-ზე (ს/კ241497769) გაცემული წიალით სარგებლობის (0651) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 6 თებერვლის N148/ს ბრძანებაში და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადა განისაზღვრა ბრძანების გამოცემიდან სამი თვით.

იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ვითარება კვლავ არ იძლეოდა ზეპირი მოსმენის სხდომის ჩვეულ რეჟიმში გამართვის შესაძლებლობას და იმავდროულად, სააგენტოს ეწურებოდა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური სამთვიანი ვადა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2020 წლის 4 მაისს ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების თაობაზე. ამის თაობაზე მხარეს ეცნობა 2020 წლის 30 აპრილის N22/2624 კორესპონდენციით და მიეცა წინადადება, ზეპირი მოსმენის სხდომაში მონაწილეობა მიეღო დისტანციურ რეჟიმში, მისთვის მისაღები ნებისმიერი ელექტრონული პროგრამის საშუალებით, თუმცა კომპანიის მხრიდან აღნიშნული წინადადება არ იქნა გამოყენებული. სწორედ ამის გამო, ზეპირი მოსმენის სხდომა გაიმართა მხარის მონაწილეობის გარეშე, სააგენტოს იურიდიული სამსახურის თანამშრომელთა მონაწილეობით.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, იურიდიული სამსახურის მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც შემდგომ

მიეცა სამართლებრივი შეფასება.

წარმოგიდგენთ ფაქტობრივ გარემოებებს:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 6 სექტემბრის N299 ბრძანების საფუძველზე, შპს „კასარა“-ზე გაცემულ იქნა წიაღით სარგებლობის ლიცენზია - სერია 10, ნომერი 0651, ტიპი - VIU, ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობის ტერიტორიაზე მინერალური წყლების საბადოებიდან (წყარო N4-ის ტერიტორიაზე) თანმხვედრი ნახშირორჟანგა აირის (CO₂) შესწავლა-მოპოვების მიზნით 25 წლის ვადით. ლიცენზიით განსაზღვრულ იქნა 706,5მ² სამთო/გეოლოგიური მინაკუთვნი;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 1 აგვისტოს N1-1/1586 ბრძანების საფუძველზე გაუქმებულ იქნა შპს „კასარაზე“ გაცემული წიაღით სარგებლობის N0651 ლიცენზია. ლიცენზიის გაუქმებას საფუძველად დაედო სალიცენზიო პირობების დარღვევა ლიცენზიის მფლობელის მხრიდან. კერძოდ, კომპანიას ლიცენზიის გაუქმების მომენტისთვის დასამტკიცებლად არ ჰქონდა წარდგენილი მარაგები, რისთვისაც მას განსაზღვრული ჰქონდა ორწლიანი ვადა. ამასთან, არ იყო შემუშავებული და დასამტკიცებლად წარდგენილი სანიტარიული ზონის პროექტი, არ იყო შემოღობილი სანიტარიული დაცვის ზონა, რის გამოც არსებობდა ჭაბურღილის თავმოერთულობის დაზიანების რისკი. ლიცენზიის მფლობელის მიერ არ ხორციელდებოდა ჭაბურღილზე ჰიდრო-ქიმიური რეჟიმული დაკვირვებები, რაც უარყოფით შედეგებს იწვევდა. ლიცენზიის გაუქმების ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, ლიცენზიის მფლობელს არ ჰქონდა დაწყებული წიაღით სარგებლობა, ზიანი მიადგა სახელმწიფო ბიუჯეტსაც. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების დაყენებით შესაძლოა დამდგარიყო უფრო მძიმე ფინანსური შედეგები სახელმწიფოსთვის. შესაბამისად მიღებული იქნა ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილება;
- შპს „კასარას“ მიერ გასაჩივრებული იქნა ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილება სასამართლო წესით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად, 2009 წლის 7 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის N1-1/1998 ბრძანებით მიღებულ იქნა შპს „კასარაზე“ გაცემული N0651 წიაღით სარგებლობის უფლების სრული მოცულობით აღდგენის გადაწყვეტილება;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 სექტემბრის N1-1/1998 ბრძანების საფუძველზე, შპს „კასარა“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის 0651 ლიცენზია აღდგა სრული მოცულობით;
- განახლებული ლიცენზიის ფარგლებში, საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 30 ნოემბრის N13/562 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება შპს „კასარაზე“ გაცემული წიაღით სარგებლობის N0651 ლიცენზიაში, რომლის თანახმადაც ნაცვლად „სასაქონლო პროდუქციის ნახშირორჟანგის წარმოების მინიმალური - 18 ტონა/დღე-ღამეში და მაქსიმალური - 18 ტონა/დღე-ღამეში“ განისაზღვრა „მაქსიმალური ოდენობა - 18 ტონა/დღე-ღამეში“;
- საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 30 ნოემბრის N13/563 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ათვისების გეგმა და განისაზღვრა მოსაპოვებელი წლიური მოცულობა 2012 წელს - 22 ტონა, 2012-2029 წლებში - 6 570 ტონა, 2030 წელს- 5 400 ტონა;
- შპს „კასარა“ წარმოადგენს რეგულირების საფასურის გადამხდელს „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნული კანონის მე-5¹ მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს რეგულირების საფასური ყოველკვარტალურად, არაუგვიანეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. აღნიშნული ფინანსური ვალდებულება შპს „კასარას“ მიერ ბოლოს შესრულებულ იქნა 2017 წლის მეორე კვარტალში;
- შპს „კასარა“-ს მიმართ, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და შემდგომ, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, არაერთგზის გამოვლინდა რეგულირების საფასურის გადახდის წესის დარღვევა, კერძოდ: სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, შპს „კასარა“-ს მიმართ, რეგულირების საფასურის გადახდის წესის დარღვევის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: 2011 წლის 09 ნოემბერს #002158 ოქმი, 2011 წლის 12 დეკემბერს #002179 ოქმი, 2013 წლის 17 იანვარს #000119 ოქმი, 2016 წლის 01 თებერვალს #021986 ოქმი, 2016 წლის 29 სექტემბერს #030811 ოქმი, 2016 წლის 11 ნოემბერს #030709 ოქმი, 2017 წლის 14 მარტს #032605 ოქმი, 2017 წლის 25 აგვისტოს #039213 ოქმი, 2017 წლის 04 დეკემბერს #041506 ოქმი;
- სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, შპს „კასარას“ მიმართ, რეგულირების საფასურის გადაუხდელობის გამო შედგენილ იქნა შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: 2018 წლის პირველი კვარტლის რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის 2018 წლის 12 ივლისს შედგენილ იქნა #000012

ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 06 აგვისტოს დადგენილებით შპს „კასარა“ დაჯარიმდა 5 000 ლარით; 2018 წლის მეორე კვარტლის რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის 2018 წლის 01 ოქტომბერს შედგენილ იქნა #000813

ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 05 ნოემბრის დადგენილებით შპს „კასარა“ დაჯარიმდა 10 000 ლარით; 2018 წლის მესამე კვარტლის რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის 2018 წლის 13 ნოემბერს შედგენილ იქნა #000920

ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, 2019 წლის 15 თებერვლის დადგენილებით შპს „კასარა“ დაჯარიმდა 10 000 ლარით; 2018 წლის მეოთხე კვარტლის რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის 2019 წლის 27 მარტს შედგენილ იქნა #001067

ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, 2019 წლის 07 მაისის დადგენილებით შპს „კასარა“ დაჯარიმდა 10 000 ლარით; 2019 წლის პირველი კვარტლის რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის 2019 წლის 01 აგვისტოს შედგენილ იქნა #001850

ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, 2019 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით შპს „კასარა“ დაჯარიმდა 10 000 ლარით; 2019 წლის მეორე კვარტლის რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის 2019 წლის 21 აგვისტოს შედგენილ იქნა #001865

ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, 2019 წლის 03 ოქტომბრის დადგენილებით შპს „კასარა“ დაჯარიმდა 10 000 ლარით; 2019 წლის მესამე კვარტლის რეგულირების საფასურის გადაუხდელობისათვის 2019 წლის 08 ნოემბერს შედგენილ იქნა #001961

ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, 2019 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით შპს „კასარა“ დაჯარიმდა 10 000 ლარით. ამასთან, შპს „კასარა“-ს 2019 წლის მეოთხე კვარტლის რეგულირების საფასურის გადახდის ვალდებულება დაუდგა 2020 წლის 15 იანვარს, თუმცა, აღნიშნული დროისთვის, ასევე არ იქნა გადახდილი რეგულირების საფასური ლიცენზიის მფლობელის მიერ და შპს „კასარა“-ს #0651 ლიცენზიის ფარგლებში წარმოშობილი რეგულირების საფასურის დავალიანება სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიმართ, 1 მაისის მდგომარეობით, შეადგენს 200 070 ლარს;

- სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს, შპს „კასარამ“ არაერთხელ მომართა და დააყენა რეგულირების საფასურის გადახდის შეჩერების ან გადავადების საკითხი, რომლებზეც სააგენტოს მხრიდან გაცემულ იქნა დასაბუთებული პასუხი, თუ რატომ ვერ მოხერხდებოდა დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება (სააგენტოს 2018 წლის 4 მაისის N22/2883 წერილი) კომპანიას განემარტა, რომ რეგულირების საფასური წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადს, რომლის გადახდის წესი და ოდენობები დარეგულირებულია „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს, როგორც ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილებები, რომლებიც პირდაპირ არის განსაზღვრული „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონით. რეგულირების საფასურის ოდენობა, სტრუქტურა და გადახდის წესი მოწესრიგებულია კანონით და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მისი გადახდის წესში ცვლილების განხორციელება არ შეუძლია. რეგულირების საფასურთან მიმართებაში სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს, როგორც ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება შემოფარგლულია ამავე კანონის მე-5¹ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით. რეგულირების საფასურის გადახდის ოდენობები და ვადები მოწესრიგებულია თავად კანონით და კანონი არ განსაზღვრავს საგამონაკლისო წესით რეგულირების საფასურის გადახდის გადავადებას ან მისი გადახდის შეჩერების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, სააგენტოს მხრიდან დასაბუთებულ იქნა წერილით დაყენებული საკითხების დადებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. ამასთან, მხარეს განემარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 59³-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების რეგულირების საფასურის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში და დადგენილი წესით გადაუხდელობა იწვევს დაჯარიმებას ამავე მუხლში მითითებული ოდენობით. აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის კანონმდებლობით მინიჭებული არ არის. აღნიშნულ არგუმენტებზე დაყრდნობით სააგენტომ განუმარტა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეხდინა კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების გადავადება. ამავე წერილით, ათვისების გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით, კომპანიას ეცნობა, რომ სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია „სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილების თანახმად, განსაზღვრულია ლიცენზიის მფლობელთა მიერ ათვისების გეგმის წარდგენის ვალდებულება ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის, რომლის დამტკიცების უფლებამოსილებაც განსაზღვრულია ამავე

დადგენილებით. განემარტა, რომ შპს „კასარა“-ზე გაცემულ ლიცენზიაში კონკრეტულადაა განსაზღვრული მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (დღე-ღამეში 18 ტონა), რისი გათვალისწინებითაც მოხდა ათვისების გეგმის დამტკიცება. სახეზე არ იყო ლიცენზიით გათვალისწინებულ მოცულობაში და შესაბამისად სალიცენზიო პირობებში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველი, რაც თავის მხრივ არ წარმოშობდა დამტკიცებულ ათვისების გეგმაში ცვლილების შეტანის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო ათვისების გეგმაში ცვლილების შეტანის გადაწყვეტილება;

- შპს „კასარას“ 2019 წლის 11 თებერვლის კორესპონდენციით კომპანიის მიერ დაყენებული იყო კომპანიის მხრიდან გადასახდელი თანხების 70%-ით შემცირების, დარჩენილი თანხის რესტრუქტურისა და გადახდილი ჯარიმების რეგულირების საფასურში ჩათვლის საკითხები. აღნიშნულ მომართვაზე სააგენტოს პასუხი გაგზავნილ იქნა 2019 წლის 11 მარტის N22/1338 კორესპონდენციით შპს „კასარა“-სთან. წერილში განიმარტა, რომ რეგულირების საფასურთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი, კერძოდ, რეგულირების საფასურის ოდენობები და გადახდის ვადები მოწესრიგებულია თავად კანონით და კანონი არ განსაზღვრავს საგამონაკლისო წესით რეგულირების საფასურის გადახდის გადავადებას ან მისი გადახდის შეჩერების შესაძლებლობას. გარდა აღნიშნულისა, მხარეს კიდევ ერთხელ მიეწოდა ინფორმაცია, რომ რეგულირების საფასურის შემცირების და დარჩენილი თანხის რესტრუქტურის სამართლებრივი მექანიზმი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება კომპანიის მიერ ჯარიმის სახით გადახდილი თანხის ჩათვლას რეგულირების საფასურის დავალიანებაში, სააგენტომ განმარტა, რომ თანხა, რომელსაც კომპანია იხდის სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში და დამოუკიდებელია რეგულირების საფასურის სახით გადასახდელი თანხისაგან. რეგულირების საფასური გადაიხდება ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ. ჯარიმის სახით გადახდილი თანხის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები სცდება სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეხდინა ჯარიმის სახით გადახდილი თანხის ჩათვლა რეგულირების საფასურის დავალიანებაში. ამასთან, მხარეს ეცნობა, რომ მიუხედავად კომპანიის მიერ ჯარიმის თანხის გადახდისა, ძალაში რჩებოდა რეგულირების საფასურის გადახდის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულება. რაც შეეხება დარიცხული თანხების 70%-ით შემცირების საკითხს, სააგენტომ თავის პასუხში აღნიშნა, რომ მომართვის მიხედვით აღნიშნული შეღავათის გამოყენების საფუძველს წარმოადგენს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც მოსაკრებელი 70%-ით უმცირდებათ აღდგენილი (კვლავწარმოებული) რესურსების მოცულობის (რაოდენობის) ფარგლებში იმ ბუნებათმოსარგებლებებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით ახორციელებენ ბუნებრივი რესურსების აღდგენა-კვლავწარმოებას. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მუხლი არეგულირებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობასა და გადახდის წესს და ამ ნორმით განსაზღვრული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ აღდგენილი/კვლავწარმოებული რესურსის მოპოვების შემთხვევაში, იგი თავისი არსით შეუძლებელია გავრცელდეს CO 2-ის მოპოვების შემთხვევაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ამ შემთხვევაშიც მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა დაყენებული მოთხოვნები;

- ათვისების გეგმის ცვლილების საკითხი დაყენებულ იქნა ასევე შპს „კასარა“-ს 2019 წლის 7 თებერვლის N01/07-19 (სააგენტოში შემოსვლის N822) კორესპონდენციით. ამავე კორესპონდენციაში შპს „კასარა“ აღნიშნავს, რომ ჭაბურღილზე ავარიის შედეგად შემცირებულია წყალგაზის ჭავლის წნევა, მილსადენით ქარხანაში გაზი მოდის შემცირებული ოდენობით (12 ტონა დღე-ღამეში ნაცვლად 18 ტონისა). ამასთან, კომპანიას მიაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს მარაგების ოდენობაზე. სააგენტოს მხრიდან გასულ პერიოდშიც მოხდა მსჯელობა ათვისების გეგმის ცვლილების საკითხზე და აღნიშნულზე შპს „კასარას“ მიეწოდა ინფორმაცია. წერილთან დაკავშირებით სააგენტომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2013 წელს (ოქმი № 31) თრუსოს საბადოზე არსებულ № 1 ჭაბურღილზე დამტკიცებულ იქნა ნახშირმჟავა აირის (CO₂) საექსპლუატაციო მარაგები დღე/ღამეში 36 ტონის ოდენობით, მაღალ სამრეწველო - B კატეგორიაში. აღნიშნული მოცულობიდან კომპანიაზე ნახშირმჟავა აირი გაცემულია დღე-ღამეში 18 ტონის ოდენობაზე, რაც გათვალისწინებულია დამტკიცებულ ათვისების გეგმაში. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ აღმოჩნდა სასარგებლო წიაღისეულის და მისი თანმხვედრი ძვირფასი კომპონენტების ახალი სახეობები ან სხვაობა სასარგებლო წიაღისეულის დამტკიცებულ და რეალურად არსებულ მარაგებს შორის, ან შეიცვალა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა პირობები, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მარაგები ექვემდებარება ხელახალ დამტკიცებას“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას განემარტა, რომ იმისათვის, რომ მიღებული ყოფილიყო ზუსტი მონაცემები ჭაბურღილზე არსებული ნახშირმჟავა აირის შესახებ, კომპანიას უნდა განახორციელებინა რესურსის მარაგების ხელახალი გამოთვლა და შესაბამის ორგანოში მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარდგენა და მხოლოდ მარაგების დამტკიცების შემდგომ იქნებოდა შესაძლებელი, კანონმდებლობით დადგენილი წესით კომპანიაზე გაცემულ ლიცენზიაში და ათვისების გეგმაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების თაობაზე მსჯელობა;

- 2020 წლის 1 აპრილს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს N2760 განცხადებით მომართა შპს „კასარას“ დირექტორმა ნანული თურქოშვილმა. განცხადებით დაყენებულ იქნა ლიცენზიით გათვალისწინებული გადასახადების დარიცხვის შეჩერების მოთხოვნა, შექმნილი ფორსმაჟორული გარემოებების გათვალისწინებით. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 7 აპრილის N22/2312 კორესპონდენციით განცხადების ავტორს ეცნობა, რომ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ რეგულირების საფასურის ადმინისტრირება. ნებისმიერ სხვა გადასახადთან, თუ მოსაკრებელთან მიმართებით სააგენტოს არ გააჩნია კომპეტენცია მიიღოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს ქმედებები. ამასთან, განემარტა, რომ „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონი, არ ითვალისწინებს კორესპოდენციაში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გადასახადის დარიცხვის შეჩერების მექანიზმს, რის გამოც სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიის მხრიდან ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოხდა წერილობითი მოსაზრების წარმოდგენა. კომპანიის განმარტების თანახმად, რეგულირების საფასურის გადაუხდელობა გამოწვეულია სალიცენზიო ობიექტზე შექმნილი ფორსმაჟორული ვითარებით. დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მიერ ლიცენზიის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა და მითითებულია, რომ განმარტებაში არსებული გარემოებების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა მოხდებოდა ზეპირი მოსმენის სხდომაზე, თუმცა როგორც აღინიშნა, ზეპირი მოსმენის სხდომა, მხარის გადაწყვეტილების შესაბამისად, გაიმართა მისი მონაწილეობის გარეშე.

ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ შპს „კასარა“-ს არაერთგზის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი, დაჯარიმებების მიუხედავად, კომპანიას არ შეუსრულებია ფინანსური ვალდებულება, რეგულირების საფასურის გადახდა ლიცენზიის მფლობელის მიერ ბოლოს განხორციელდა 2017 წლის 09 ნოემბერს. ამასთან, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-9¹ პუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულირების საფასურის დადგენილი წესით გადაუხდელობა გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას, ამასთანავე, ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, რეგულირების საფასურის გადახდის დადგენილი ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულირების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გააუქმოს ლიცენზია. განსახილველ შემთხვევაში, მტკიცებულებებით არის გამყარებული, შპს „კასარა“-ს მიერ რეგულირების საფასურის გადახდის - როგორც კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა დადასტურებულია სასამართლოს მიერ, შპს „კასარა“ არაერთგზის იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად და სასამართლომ არაერთგზის დააკისრა ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმა, მიუხედავად ამისა, კომპანიის მიერ არ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულირების საფასურის გადახდის ვალდებულება შესრულებული.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-9¹ პუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულირების საფასურის დადგენილი წესით გადაუხდელობა გამოიწვევს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას, ამასთანავე, ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, რეგულირების საფასურის გადახდის დადგენილი ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულირების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გააუქმოს ლიცენზია. განსახილველ შემთხვევაში, ცალსახაა და მტკიცებულებებით არის გამყარებული, შპს „კასარას“ მიერ რეგულირების საფასურის გადახდის - როგორც კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, სახეზეა ლიცენზიის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ლიცენზიის გამცემი ორგანოს მხრიდან.


ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-9¹ პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ შპს „კასარა“-ზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 6 სექტემბრის N299 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) წიაღით სარგებლობის ლიცენზია სერია 10, ნომერი 0651, ტიპი VIU;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელემტრონულად 

მაია ბავრაშვილი